

It`s not only about women, it`s about information!



## გენდერული პოლიტიკა გენდერული მინისტრიმინი ადმასრულებელ სტრუქტურებში

„ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ 2014 წლის 6 მაისს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, გენდერული მინისტრიმინის დასაწერად გენდერულ საკითხებში მრჩეველის დანიშვნის შესახებ, თხოვნით მიმართა.

პასუხად, 2014 წლის 16 ივნისს, სამინისტროდან მოვიდა წერილი, რომლის თანახმად, გენდერულ საკითხებში მინისტრის მრჩეველად, ანა ქუთათელაძე დაინიშნა. „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ კიდევ ერთხელ გამოთქვა იმედი, რომ სამინისტროსთან მსგავსი მჭიდრო თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება, რაც ადგილობრივ დონეზე, გენდერული და ადგილობრივი ინსტიტუტური მექანიზმების შემუშავებას შეუწყობს ხელს.

(გაგრძელება შემდეგ გვ.)

იენაარსი  
მინაარსი

- გენდერული პოლიტიკა
- ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და ქალთა ბაძლიერება
- ქალთა მიმართ ძალადობა
- ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება
- გენდერული საინფორმაციო პოლიტიკა
- ადვოკატირება
- ახალი პროექტები

# გენდერის მრჩეველი სახელმწიფო უწყებაში

(დასაწყისი I გვერდზე)

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ რეკომენდაციით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პოსტზე მუშაობისას, გენდერულ საკითხებში მრჩეველი დანიშნა დავით ნარმანიამც. სამინისტროს გარდა, საქართველოს მასშტაბით, „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ინიციატივით, ადგილობრივ თვითმმართველობებში, გენდერის 49 მრჩეველი დანიშნა.

რეგიონული განვითარების სამინისტროს გარდა, გენდერული მენისტრიმინგის კუთხით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა თავდაცვის სამინისტროსთანაც. გაეროს ქალთა ორგანიზაციის, „ქალთა საინ-

ფორმაციო ცენტრის“, ნატოს სამეკავშირეო ოფისისა და თავდაცვის უწყების მხარდაჭერით, თავდაცვის აკადემიაში ჩატარებული ტრენინგის შემდეგ, ამავე სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურაში დაინიშნა 22 მრჩეველი გენდერის საკითხებში, რომლებმაც გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად, მზადყოფნა გამოთქვეს.

ტრენინგი თავდაცვის აკადემიაში პროექტის „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და გაძლიერებისათვის“ ფარგლებში ჩატარდა.



ქალთა საინფორმაციო ცენტრი

## გენდერული შეფასება და რეკომენდაციები სახელმწიფო სტრუქტურებს

„ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ გენდერული თანასწორობის საბჭოსა და “WORLD VISION” – თანთანამშრომლობით გენდერული შეფასების კვლევის ანგარიშის პრეზენტაცია მოაწყო. კვლევა მოიცავდა შემდეგ სფეროებს: პოლიტიკური მონაწილეობა და მმართველობა, გენდერი და მედია, როლების გადანაწილება, ჯანდაცვა, განათლება, შრომის ბაზარი, ძალადობა ქალის მიმართ, ტრეფიკინგი და სხვა. დოკუმენტი გენდერულ საკითხებთან საქართველოში არსებულ ვითარებას ასახავს.

ანგარიშის განხილვას ადმარსულებელი და საკანონმდებლო ორგანოებიდან ესწრებოდნენ. პრეზენტაციის დასრულებისას დისკუსია გაიმართა, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლები გამოვიდნენ ინიციატივით, „ქალთა საინფორმაციო ცენტრთან“ თანამშრომლობით,

ორგანიზება გაუწიონ ტრენინგებს, რომელშიც მონაწილეობას, უშუალოდ, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მყოფი პოლიტიკოსები მიიღებენ.

მხარეების თქმით, მსგავსი აქტივობები აუცილებელია, რათა თითოეულ დაინტერესებულ სამინისტროს, შეექმნას მყარი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს, გენდერი, გენდერული პოლიტიკა და რატომ არის გენდერული ბალანსის დაცვა ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის აუცილებელი.

კვლევა, ქალთა საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა, ელენე რუსეცკაიამ “WORLD VISION“-ის პროექტის, „ძლიერი ქალები ძლიერი ინტეგრაციისათვის“ ფარგლებში მოამზადა. პროექტი ავსტრიული განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

# ანგარიში CEDAW კომისიისათვის

„ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“, 13 არასამთავრობო ორგანიზაციასა და ორი ქსელის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, CEDAW კომისიისათვის მოამზადა ალტერნატიული ჩრდილოვანი ანგარიში. რომლის წარდგენაც მოხდება 7 ივლისს, საქართველოს საკითხის განხილვა კი 8 ივლისს იგეგმება.

ანგარიში იმ ვალდებულებების იმპლიმენტაციასა და განხორციელების პროცესებს ასახავს, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებამ ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის ლიკვიდაციის ფარგლებში აიღო.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ წარმომადგენლები, 8 ივლისს, CEDAW კომიტეტის განხილვას დაესწრებიან.

## „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ გაეროს ქალთა სტატუსის 58-ე სესიაზე



ნიუ-იორკში, გაეროს ქალთა სტატუსის 58-ე სესიაზე, აღმოსავლეთ-დასავლეთ ქალთა ქსელი საქართველოდან მისმა წევრმა ორგანიზაციამ, „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ წარმოადგინა. ელენე რუსეცკაია და მარიამ რობიტაშვილი აქტიურად ადევნებდნენ თვალს სესიაზე განვითარებულ მოვლენებს და მონაწილეობდნენ კონფერენციებსა თუ დამატებით ღონისძიებებში.

“GLOBAL FUND FOR WOMEN”-ის (“ქალთა გლობალური ფონდის”) მიერ მოწოდებულ ღონისძიებაზე, რომელზეც მოხსენებები სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის, რუსეთისა და შუა აზიის წარმომადგენლებმა გააკეთეს, ელენე რუსეცკაია, სპეციალური მოხსენებით წარსდგა, მის გამოსვლას დადებითი შეფასება მოჰყვა. ამავე ღონისძიებაზე შედგა მოკლემეტრაჟიანი ფილმის ჩვენება, რომელიც “ქალთა საინფორმაციო ცენტრის” მიერ, ქალთა აქტივიზმზე მომზადდა. ღონისძიების მონაწილეებმა ქვეყნების გამოწვევებზე, არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედებებსა და დასახულ გეგმებზე ისაუბრეს და საკუთარი გამოცდილებებიც შეაჯუ-

რეს. როგორც შეხვედრისას აღმოჩნდა, მათ მუშაობის სხვადასხვა გამოცდილება, შესაძლებლობები, პრობლემები და გადაჭრისადმი მიდგომები აქვთ, თუმცა, გამოიკვეთა ისეთი საერთო პრობლემებიც, როგორებიცაა ქალთა მიმართ ძალადობა, რელიგიური და ნაციონალური ექსტრემიზმი, არატოლერანტული დამოკიდებულება ქალთა მოძრაობის და ფემინიზმის ღირებულებებისადმი, არსებული კონფლიქტების ნეგატიური ასახვა ქალთა მდგომარეობაზე, მათი დაბალი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში თუ პარტნიორული ქსელების განვითარების აუცილებლობა.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ მონაწილეობა მიიღო საბოლოო დასკვნების განხილვის პროცესებსა და დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, რეკომენდაციების შემუშავებაშიც.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ წარმომადგენლებმა სესიაში მონაწილეობა „აღმოსავლეთ-დასავლეთ ქალთა ქსელის“ ხელშეწყობით, ფონდ „კვინა ტილ კვინასა“ და „ქალთა გლობალური ფონდის“ მხარდაჭერით მიიღეს.

# ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და ქალთა გაძლიერება

## ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკოორდინაციო ჯგუფის შექმნა

2014 წლის თებერვალში, OXFAM-ის მხარდაჭერით, „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, რომელიც 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებისათვის მოსამზადებელ პერიოდს მოიცავდა, გამოიკვეთა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციათა კოორდინაციის პრობლემა. შეხვედრაზე გადაწყდა ეროვნული სამუშაო ჯგუფის (TASK FORCE) შექმნა, რომლის მიზანია, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, სხვადასხვა აქტორების მონაწილეობით, ქალთა პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობა. შეხვედრას საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ხელისუფლების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. TASK FORCE ჯგუფის კოორდინირებულ მუშაობა საკუთარ თავზე NDI-მ აიღო.

სამუშაო ჯგუფის შექმნა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოახლოებასთან ერთად გახდა საჭირო. მისი ერთ-ერთი მიზანი, გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე, ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით, ერთობლივი პლატფორმის შექმნაა. სამუშაო ჯგუფი „ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისათვის საქართველოში“, არჩევნების შემდეგაც აგრძელებს მუშაობას.



მის შემადგენლობაში არასამთავრობო ორგანიზაციების გარდა, შედის საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, სახალხო დამცველი, ცესკო და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ USAID-ის მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში ჯგუფმა შეიმუშავა საქმიანობის რუკა, რომელშიც TASK FORCE-ში შემავალი 14 ორგანიზაციის მიერ, რესურსების მობილიზებისა და სამომავლო კონსოლიდირებული მუშაობის მიზნით, არჩევნებამდე დაგეგმილი აქტივობები აისახა.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდასაჭერად, „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“, USAID-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ქალები როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის“ ფარგლებში, შექმნა ლიდერ და პოლიტიკაში მოსვლის მსურველ ქალთა მონაცემთა ბაზა, სადაც სამიზნე რეგიონებიდან ასზე მეტი ქალის საკონტაქტო ინფორმაცია თავმოყრილი და მუდმივად განახლების პროცესშია.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი

## თანამშრომლობა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან

„ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ აქტიურად თანამშრომლობს „ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან“. ორგანიზაციის წარმომადგენლები, მონაწილეობდნენ ცესკოს მიერ დაგეგმილ სხვადასხვა შეხვედრებში.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ, ცესკომ მიმართა ორგანიზაციას, დაგეგმილი ტრენინგების განხორციელების მიზნით, მიეწოდებინა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი ქალი კანდიდატების საკონტაქტო მონაცემები. „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“, კომისიას, მონაცემთა ბაზიდან, საინიციატივო ჯგუფის მიერ შერჩეული, 15 აქტიური ქალის შესახებ ინფორმაცია გადაუგზავნა.

ცესკოს კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტის უფროსმა, სოფო სიჭინავამ ჩაატარა ტრენინგი, რომელიც OXFAM-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტის, „გენდერული სამართლიანობის ხელშეწყობა ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერების გზით“ ფარ-

გლებში გაიმართა. ტრენინგის მიზანი კოალიცია ქალთა პოლიტიკური ჩართულობისთვის წევრების გაძლიერება გახლდათ წინასაარჩევნო პროცესების შესახებ.

ასევე, ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი შარაბიძე და საარჩევნო სისტემების განვითარების რეფორმისა და სწავლების ცენტრის სასწავლო პროგრამების განყოფილების უფროსი მანა გუდამე, USAID-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის“ ფარგლებში კანდიდატი ქალებისთვის გამართულ ტრენინგებში მონაწილეობდნენ. ტრენინგების მიზანი იყო 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე კანდიდატი ქალების გაძლიერება და ინფორმირებულობა. აღსანიშნავია, რომ ტრენინგების მსვლელობისას, ჯამში, 40-მდე ქალი კანდიდატი გადამზადდა.

# თანამშრომლობა პოლიტიკურ პარტიებთან

„ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, ქალთა პოლიტიკური გამლიერებისა და გენდერული კვოტირების საკითხის ლობირების მიზნით, აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიასთან.

შედეგ შეხვედრები საქართველოში აქტიურ, თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერთან და დაისახა თანამშრომლობის სამომავლო გზებიც. მათ შორის, „ქართული ოცნების“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსათვის“, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“, „თავისუფალი დემოკრატებისა“ და „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერებთან.

შეხვედრების შედეგად, პოლიტიკურმა პარტიებმა გამოთქვეს მზადყოფნა, ითანამშრომლონ „ქალთა საინფორმაციო ცენტრთან“ და გადაამზადონ ლიდერები ტრენინგებისა და სხვადასხვა ღონისძიებების დახმარებით. მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობაზე მზადყოფნა გამოთქვეს ნინო ბურჯანაძემ, ხათუნა გოგორიშვილმა, მანანა ნაჭყებამ, მაგდა ანიკაშვილმა, ირაკლი ქადაგიშვილმა და ხათუნა სამნიძემ. მათ აღნიშნეს,

რომ საკუთარ პარტიებში მოახდენდნენ გენდერული პრინციპების დანერგვას. ამ მხრივ, განსაკუთრებით, აღსანიშნავია ირაკლი ქადაგიშვილთან შეხვედრა, რომელმაც ხაზი გაუსვა, მათი პარტიის შიდა რეგულაციას, რომლის თანახმადაც, საარჩევნო სიაში ყოველი მესამე, ქალი უნდა იყოს.

აღსანიშნავია ახალდარეგისტრირებული პარტია „რეფორმატორები“, რომლებმაც, „ქალთა საინფორმაციო ცენტრს“, შიდაპარტიულ რეგულაციებში, გენდერული მეინსტრიმინგის დასანერგად, თანამშრომლობა შესთავაზეს.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან შეხვედრისა და მოლაპარაკების ერთ-ერთ თემას, პარტიებში გაწვევრიანების მიზნით, რეგიონებში მცხოვრები აქტიური ქალების მოტივაციის გაზრდა წარმოადგენს.

კოალიციამ „ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის“ ლობირება გაუწია ერთ-ერთ წევრს, ლია ჩლაჩიძეს, რომელიც ადგილობრივ დონეზე, კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო სიის პირველ ათეულში შეიყვანა.

# ტრენინგები თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე ქალი კანდიდატებისათვის

პოლიტიკურ პარტიებთან შეხვედრებისა და მოლაპარაკებების პროცესში, საინიციატივო ჯგუფსა და დამოუკიდებელ კანდიდატებთან თანამშრომლობით, ქალი კანდიდატებისათვის სპეციალური ტრენინგ-მოდული შემუშავდა. შეიქმნა სპეციალური სახელმძღვანელო – „ქალთა მონაწილეობა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში.“

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე, ტრენინგი ორ ეტაპად ჩატარდა. მასში მონაწილეობა, სამიზნე რეგიონებში მცხოვრებმა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე ქალმა კანდიდატებმა მიიღეს. ბუნეფიცირებმა თბილისიდან, მცხეთა-მთიანეთიდან, კახეთიდან, სამცხე-ჯავახეთსა და იმერეთიდან, გენდერის, გენდერული სტერეოტიპების, თანასწორობისა და მეინსტრიმინგის, თვითმმართველობის კოდექსისა და საერთაშორისო ვალდებულებების, ასევე არსებული კანონმდებლობისა და კომუნიკაციის ფორმების, პიარ სტრატეგიისა თუ საარჩევნო კამპანიის წარმოების შესახებ მიიღეს დამატებითი ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ თვითმმართველობის არჩევნებში,



„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ გამართულ ტრენინგებში მონაწილე ქალი კანდიდატებიდან, წინასწარი მონაცემებით ხუთმა მათგანმა გაიმარჯვა. ტრენინგები USAID-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის, „ქალები, როგორც აქტორები, ცვლილებებისა და გამლიერებისათვის“ ფარგლებში ჩატარდა.

# კანდიდატი ქალების მედია მხარდაჭერა

ქალი კანდიდატების შესაძლებლობებისა და პოტენციალის უკეთ წარმოჩენის მიზნით, „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, სხვადასხვა მედიასაშუალებებთან თანამშრომლობით, ამზადებს ტელე და რადიოგადაცემებს.

დატრენინგებული, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე კანდიდატი ქალები, გადაცემებში საუბრობენ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მნიშვნელობაზე, არსებულ გამოწვევებზე, პრობლემებსა და მიღწევებზე. გადაცემების ნაწილი თბილისში, ნაწილი კი რეგიონული ტელევიზიების საშუალებით, ადგილობრივ დონეზე გადაიცემა.

ცნობიერების ამაღლებისა თუ პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის მნიშვნელობაზე, შიდა ქართლის ტელეკომპანია "თრიალეთის" ეთერით მომზადდა და გადა-

იცა გადაცემათა ციკლი, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართული ქალები, ასევე, იურისტები და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. აქტივობა, საქველმოქმედო ორგანიზაცია OXFAM-ის ფარგლებში მხარდაჭერილი პროექტის, „გენდერული სამართლიანობის ხელშეწყობა ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერების გზით“ ფარგლებში განხორციელდა.

ამჟამად, ტელეგადაცემები გადის თელავის, გორის, ბორჯომის, ქუთაისის ტელევიზიების ეთერით. „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ გადაცემის მომზადებასთან დაკავშირებით, აქტიურ მონაწილეობას აწარმოებდა საზოგადოებრივ მაუწყებელთან, თუმცა, საბოლოოდ, თანამშრომლობა ვერ შედგა.

## როგორ აუწყებს მედია კანდიდატ ქალებს?

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელისშეწყობილი ღონისძიებების ფარგლებში, „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ მედიამონიტორინგს ატარებს. კვლევა რომელიც წინასარჩევნო პროცესებში ქალი კანდიდატებისათვის საეთერო დროის დათმობას, მათი მოხსენიების კონტექსტსა და ტელეეთერით გამოყენებულ გენდერულ ტერმინოლოგიას სწავლობს, მასიდან ივლისამდე პერიოდს მოიცავს.

მედიამონიტორინგის მიღებული შედეგების ანალიზი გამოკვეთს იმ პრობლემებს, რომლებიც პოლიტიკაში ჩართული ქალების გააუქმებასა და თემისადმი მედიის სენსიტიურობას ეხება. მედიამონიტორინგი USAID-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის, „ქალები, როგორც აქტორები, ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის“ ფარგლებში ტარდება.

## საგანგებო განცხადება თვითმმართველობის არჩევნებში ქალთა დაბალი მონაწილეობის თაობაზე

გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ქალთა დაბალ მონაწილეობასთან დაკავშირებით, „პრაიმ-თაიმის“ პრესკლუბში საგანგებო განცხადება გააკეთეს. მათ ერთობლივად მოუწოდეს პოლიტიკურ პარტიებს, მხარი დაუჭირონ და უზრუნველყონ ქალთა ჩართულობა პოლიტიკაში, რაც, პარტიების განვითარებასთან ერთად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ქალთა აქტიურ მონაწილეობასაც შეუწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, თბილისის მერად 14 კანდიდატი იყრიდა კენჭს, მათ შორის მხოლოდ ორი ქალი იყო. რაც შეეხება რეგიონებს, საინიციატივო ჯგუფების მიერ რეგისტრირებული 1130 კანდიდატიდან, მხოლოდ 115 ქალი მონაწილეობდა.

პრესკონფერენცია პროექტ „ქალები, როგორც აქ-

ტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის“ ფარგლებში გაიმართა, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ხორციელდება.



ქალთა საინფორმაციო ცენტრი

## კოალიცია „ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის“ გასაძლიერებლად

ბრიტანული ორგანიზაცია OXFAM და „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ, ქალთა პოლიტიკური ჩართულობის კუთხით, განსაკუთრებული ყურადღება კონფლიქტისპირა რეგიონებში მცხოვრებ ქალებს ეხებათ. შიდა ქართლში, გასულ წელს შექმნილ კოალიციასთან „ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის“ ერთად, გორში არაერთი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრები მიზნად ისახავდა ცნობიერების ამაღლებას ქალთა გასააქტიურებლად, ასევე დაისახა სამომავლო სტრატეგიები, ამასთან, შეხვედრების დროს გამოიკვეთნენ ის ლიდერი ქალები, რომლებიც 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობენ.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“, ბრიტანულ საქველმოქმედო ორგანიზაცია OXFAM-თან ერთად, კოალიციასთან „ქალთა პოლიტიკური ჩართულობისთვის“ მორიგი შეხვედრისას, პროექტის მეორე ეტაპის პრეზენტაცია გამართა. პროექტი, გენდერული თანასწორობის კუთხით, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, ინსტიტუციური მექანიზმისა და კოალიციის გაძლიერებას ისახავს მიზნად.



**OXFAM**

საინფორმაციო-გაცნობითი შეხვედრისას, დაიგეგმა პირველი ტრენინგი ახალი პროექტის ფარგლებში, ასევე კვლევა, რომელსაც ექსპერტი, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში ჩაატარებს და რომელიც ადგილობრივ დონეზე ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას ეხება.

## კოალიცია „ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისათვის“ გენდერული შეფასების კვლევის ანგარიშს გაეცნო

„ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“, ბრიტანულ საქველმოქმედო ორგანიზაცია OXFAM-თან ერთად, კოალიციასთან „ქალთა პოლიტიკური ჩართულობისთვის“ მორიგი შეხვედრისას, გენდერული შეფასების კვლევის ანგარიში და რეკომენდაციები გაეცნო.

კვლევა WORLD VISION-ის ფარგლებში მომზადდა და მისი ავტორი, „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ დირექტორი, ელენე რუსეცკია. დოკუმენტის გაცნობის შემდეგ, კოალიციის წევრებმა მის გარშემო გამართეს დისკუსია. გამოითქვა ცალკეული მოსაზრებებიც.

## ქალები პოლიტიკაში – ახალი დღის წესრიგი

2014 წლის ივნისში, „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ორგანიზებით გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, TASK FORCE ჯგუფის მიერ, გაკეთდა სპეციალური მიმართვა პარლამენტისადმი, რომელშიც ორგანიზაციებმა საკანონმდებლო ორგანოს, გენდერული კვოტის შემოღების ინიციატივის მხარდაჭერისაკენ და, ამით, სტამბულის კონვენციის რატიფიცირებისაკენ მოუწოდეს.

პარლამენტის გარდა, მიმართვა პოლიტიკურ პარტიებსაც შეეხოთ. მათ სამუშაო ჯგუფმა, კანდიდატი ქალების მხარდასაჭერად მუშაობის გაძლიერებისაკენ მოუწოდა. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო გამოფენა სახელწოდებით „ნუ მომკლავ!“, რომელიც ბოლო სამი თვის მანძილზე ქალთა გახშირებულ მკვლელობებს ეხებოდა.

ჯგუფის წევრებმა აღმასრულებელ ხელისუფლებასაც მიმართეს, გამოიჩინოს ნულოვანი ტოლერანტობა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ და შექმნას გენდერულად მგრძობიარე მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც დანაშაულის გამოვლენას და მსხვერპლი ქალების მდგომარეობას გაითვალისწინებს.

შედეგად, 2014 წლის 20 ივნისს, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, ხელი მოაწერა სტამბულის კონვენციას, „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ადკვეთისა და პრევენციის შესახებ ევოპის საბჭოს 2011 წლის კონვენციას.

# ქალთა ეკონომიკური გაძლიერება



USAID  
FROM THE AMERICAN PEOPLE

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ორგანიზაციის ახალი მიმართულებაა. ინფორმაციის უკეთ მოგროვების მიზნით, სამიზნე რეგიონებში შეირჩა კონკრეტული სოფლები, სადაც თემის მობილიზაციისა და სათემო მუშაუკის შერჩევის მიზნით, მუშაობა მიმდინარეობს.

პროექტს ექვსი სამიზნე რეგიონი: თბილისი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, იმერეთი და გალი აქვს. მისი განხორციელებისას იგეგმება სოფლად მცხოვრები, იძულებით გადაადგილებული, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისათვის, უნარების განვითარების გზით, მცირე გრანტებზე, ბიზნესკონსულტაციებზე, სამუშაო ინსტრუქტაჟსა თუ საბანკო სისტემაზე წვდომის გაზრდა, რაც, საბოლოოდ, მათთვის დამატებითი შესაძლებლობების გაჩენას, ხელს

მნიშვნელოვნად შეუწყობს.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კომპონენტის ფარგლებში დაგეგმილია საჭიროებების შესახებ კვლევის ჩატარება. მისი მიზანი, გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით, ეკონომიკური საჭიროებებისა და ხარვეზების გამოვლენაა. კვლევას პარტნიორი ორგანიზაცია ეკონომისტთა ასოციაცია ჩაატარებს. მისი შედეგები კი, ქალთა კრედიტებსა და საბანკო პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობისათვის იქნება გამოყენებული.

## ქალთა მიმართ ძალადობა ოჯახში ძალადობა და ქალთა მკვლელობები

2014 წლის გაზაფხულზე, ოჯახში ძალადობის შემთხვევების შედეგად მოკლული ქალების თაობაზე, „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე, ფატალური შედეგების თავიდან აცილების მიზნით, დროული და ადეკვატური რეაგირება მოითხოვა.

მცირე ხანში, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ქალთა უფლებების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებს შეხვდნენ. შეხვედრას, რომელიც მრგვალი მაგიდის ფორმატით გაიმართა, „ქალთა საინფორმაციო ცენტრიც“ ესწრებოდა. ღონისძიების ფარგლებში მხარეებმა ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ განხორციელებული დანაშაულების საკითხები განიხილეს. ორგანიზაციებს შსს-ს ადმინისტრაციის უფროსმა, ეკატერინე კერესელიძემ, პრობლემასთან ბრძოლის კუთხით, სამინისტროს სა-

მომავლო გეგმები და სტრატეგია გააცნო. „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ რეკომენდაციების ნაწილი ეხებოდა – სტატისტიკის გასაჯაროებას, ქალთა მკვლელობების ფაქტების შესწავლასა და ანალიზს, რეგულარულ თანამშრომლობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დროული რეაგირებას მათგან წერილობით მოთხოვნაზე და რეაგირებას გორის შემთხვევაზე, რომელიც უგონო მდგომარეობაში ნაპოვნ 14 წლის გოგონას ეხებოდა.

შეხვედრის დასრულებისას, უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ პრობლემასთან ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, სამინისტროში შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომლის მოვალეობაშიც თითოეულ ფაქტზე მონიტორინგის წარმოება, და რეაგირების ადეკვატურობის ანალიზი შედის.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი





# პროტესტი ქალთა მიმართ ძალადობისა და მკვლელობის წინააღმდეგ

კოალიციის „ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის“ და „მეგობრობის ხიდი ქართლოსის“ ორგანიზებით, გორის ცენტრში, უგონო მდგომარეობაში ნაპოვნია, 14 წლის გოგონას მხარდასაჭერად, აქცია გაიმართა.

პროტესტს 150-მდე ადამიანი, მათ შორის, სამოქალაქო სექტორის, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები და კანდიდატი ქალებიც შეუერთდნენ. ორგანიზატორების თქმით, აქცია აპოლიტიკური იყო. მათი განცხადებით, ისინი გმობენ ქალთა მიმართ ძალადობას და არასრულწლოვან გოგონასთან დაკავშირებით, ფაქტზე სამართალდამცავებისაგან დროულ და

მიუკერძოებელ გამოძიებას მოითხოვენ.

აქციას გორის მოსახლეობის ნაწილიც შეუერთდა, დედაქალაქიდან კი, სპეციალურად ამ დღისათვის, რიგითი მოქალაქეები, პოლიტიკოსები და უცხოელი ტურისტები ჩავიდნენ.

კოალიცია „ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის“ 2013 წლის ივლისში, ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია OXFAM-ის მხარდაჭერით, პროექტ „გენდერული სამართლიანობა ქალთა პოლიტიკური თანამონაწილეობის გაძლიერების გზით“ ფარგლებში შეიქმნა.

# ტრენინგი ძალადობის წინააღმდეგ – „მამაკაცური საუბრები“

„მამაკაცური საუბრები“, ტრენინგი, რომელიც ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, მამაკაცთა ცნობიერების ამაღლებას ემსახურება, პანკისის ხეობის მოსახლეობისათვის ინტენსიურად ტარდება.

რამდენიმე თვის განმავლობაში, პანკისში გამართულ ტრენინგში მონაწილეობა, დაახლოებით, ასამდე მამაკაცმა მიიღო. „მამაკაცური საუბრების“ პარალელურად, შეხვედრები იმართება პანკისში მცხოვრებ ქალებთან. შეხვედრების ძირითად მიზანს, გენდერულ საკითხებთან მიმართებით, ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება წარმოადგენს.

ტრენინგში მონაწილეთა ასაკობრივი ზღვარი დაწესებული არ არის, თუმცა მონაწილეთა უმეტესობა ახალგაზრდაა. ისინი მსგავსი ტიპის შეხვედრებს დადებითად აფასებენ.

„მამაკაცური საუბრები“ ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „თემთა მობილიზება საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გზით ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის“ ფარგლებში ხორციელდება.

გარდა პანკისისა, ტრენინგის ჩატარება პროექტის, „ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის“ ფარგლებში, იგეგმება გალში მცხოვრებ მოსახლეობისთვისაც.

ტრენინგი „მამაკაცური საუბრები“ გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ იქნა დაწინაურებული და სხვადასხვა რეგიონში აქტიურად ხორციელდება.



# უხუცეს ქალთა და კაცთა საბჭოს წევრთა და ოჯახში ძალადობის სერვისის მიმწოდებელთა ტრენინგები



„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ, ოჯახში ძალადობაზე, მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმებზე, გენდერული თანასწორობასა და სტერეოტიპებზე, ახმეტის რაონის მოსახლეობისათვის, გასვლითი ტრენინგები ტარდება.

აპრილი - მაისის პერიოდში 2 სხვადასხვა ტრენინგი ჩატარდა. სამიზნე ჯგუფებს ოჯახში ძალადობის სერვისის მიმწოდებლები, პოლიციელები, ამბულატორიის თანამშრომლები, მასწავლებლები, სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები, უხუცეს ქალთა და კაცთა საბჭოს წევრები წარმომადგენდნენ.

ტრენინგებში, გასანაკუთრებით, მნიშვნელოვანია პანკისის უხუცეს ქალთა და კაცთა საბჭოების წარმომადგენელთა ერთობლივი მონაწილეობა, სადაც განიხილება ისეთი საკითხები, როგორებიცაა ტრადიციების გავლენა თანამედროვეობაზე, სტერეოტიპების უარყოფითი როლი, სახელმწიფოს და არასამთავრობო ორგანიზა-

ციების მიერ ძალადობის მსხვერპლთათვის შეთავაზებულ სერვისები. ტრენინგებს „ქალთა საინფორმაციო ცენტრისა“ და სპეციალურად მოწვეული ტრენერები, ასევე ტრეფიკინგის სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლები ატარებდნენ.

ოჯახში ძალადობის სერვისის მიმწოდებლები, გარდა საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმებისა, იღებენ ინფორმაციას მათ ვალდებულებებსა და როლზე ოჯახში ძალადობის პრევენციის კუთხით.

ამ დროისათვის ახმეტის რაიონში მცხოვრები სამიზნე ჯგუფებისათვის, ორი გასვლითი ტრენინგია ჩატარებული. ის პროექტ „თემთა მობილიზება საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გზით, ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის“ ფარგლებში ტარდება, რომელიც ევროკავშირის მიერაა მხარდაჭერილი.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი

## სპორტული ღონისძიებები გენდერული სტერეოტიპების დასაწმენდად

„ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, ცდილობს, გააძლიეროს ქალები და შეცვალოს გენდერული სტერეოტიპები. ამ მიზნით, პანკისის ხეობის სოფელ დუისში, მაგიდის ჩოგბურთში შეჯიბრი გაიმართა.

შეჯიბრში, რომელშიც შვიდი დუისელი ქალი მონაწილეობდა, ყველაზე ახალგაზრდა ჟანა დადაევა, ადგილობრივი სკოლის #11 კლასის მოსწავლეა. ის სკოლაში არსებულ გოგონათა ფრენბურთის გუნდის წევრიცაა და სპორტით აქტიურად არის დაკავებული.

შეჯიბრში გამარჯვება ეთერ ციხესაშვილმა მოიპოვა. ის მაგიდის ჩოგბურთს სკოლის ასაკიდან თამაშობდა. როგორც გამარჯვებულმა განაცხადა, სპორტის ეს სახეობა ახალგაზრდა გოგონების საყვარელი გასართობი უნდა გახდეს. გამარჯვებულს ლოპოტას დასასვენებელ კომპლექსში ორკაციანი საგზური გადაეცა.

ღონისძიება ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „თემთა მობილიზება ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გზით“ ფარგლებში შედგა, რომლის მიზანია, შეცვალოს პანკისის რეგიონში არსებული მდგომარეობა და გააძლიეროს ქალები.



# იურიდიული კონსულტაცია

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ, პანკისის ხეობაში მცხოვრები ქალებისათვის, ორგანიზაციის იურისტი კონსულტაციებს ატარებს. ამ ეტაპისათვის, მსგავსი ტიპის დახმარება, ასამდე ქალმა მიიღო.

შეხვედრების ფარგლებში, „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ წარმომადგენლები ეცნობიან მათ პრობლემებს, ეხმარებიან გადაჭრის გზების ძიებაში და, საჭიროების შემთხვევაში, ბენეფიციარების მიერ დასახელებულ პრობლემატურ საკითხებს, ადვოკატირებას უწყვენ.

იურიდიული კონსულტაციების ფარგლებში, განსაკუთრებით გამოიკვეთა რამდენიმე მასშტაბური პრობლემა, რომლებიც „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ადვოკატირების შედეგად გადაიჭრა.

იურიდიული კონსულტაციები პანკისში, ევროკავშირისა (EU) და „KVINNA TILL KVINNA“-ს პროექტების ფარგლებში იმართება.

2014 წელს ონლაინ იურიდიული კონსულტაცია გაეწია 46 ადამიანს, ხოლო პირისპირ კონსულტაცია 74-მა ქალმა მიიღო.

## კვლევა ოჯახში ძალადობის გამოწვევი მიზეზების თაობაზე



„ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტთან“ თანამშრომლობით ოჯახში ძალადობის ფორმებსა და გამოწვევი მიზეზებთან დაკავშირებით კვლევას ატარებს.

კვლევის განხორციელებაში ჩართულები არიან კონკურსის საფუძველზე შერჩეული სტუდენტები.

კვლევა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „თეთა მობილიზება ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გზით“ ფარგლებში ტარდება.

## ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ - სემინარი პოლონეთში

22-23 მაისს, „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ წარმომადგენელი, „ქალთა დახმარების ცენტრის“ მოწვევით, ვარშავაში, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გამართულ სემინარს დაესწრო. ღონისძიება, რომელზეც პოლონეთის გამოცდილება განიხილეს, სტუმრებისათვის ადგილობრივი ორგანიზაციების გაცნობით ხასიათსაც ატარებდა.

სემინარში „ქალთა საინფორმაციო ცენტრიდან“, მარიამ წერეთელი მონაწილეობდა. მან დამსწრეებს ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ, პრეზენტაცია წარუდგინა.

სემინარის მონაწილეებს, ორგანიზატორებმა პოლონური არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხელისუფლების მუშაობის სპეციფიკა გააცნეს ოჯახში ძალადობის, ქალთა უფლებებისა და ტრეგიკინგის საკითხებზე. გარდა ამისა, გაიმართა შეხვედრები პოლონეთის სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, გამოიკვეთა კონკრეტული საკითხები და გამოცდილებებიც, რომელთა გაზიარებაც სამომავლოდ საქართველოსათვის მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება.

## სემინარი თსუ-ში პოლონურ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, „ქალთა საინფორმაციო ცენტრისა“ და პოლონური არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა დახმარების ცენტრის“ ორგანიზებით, ჩატარდა სემინარი თემაზე „ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში – პრობლემები და გამოწვევები“. სემინარს არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა, სახელმწიფო უწყებებისა და სახალხო დამცველის ოფისის გენდერული დეპარტამენტის წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

შეხვედრის მონაწილეებმა საქართველოსა და პოლონეთში, ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრეს, შსს-ს, სახელმწიფო ფონდისა და სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა კი დამსწრეებს უწყებების მიერ და-

გეგმილი აქტივობები გააცნეს. საუბარი შეეხო როგორც ოჯახსა და ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკას, ასევე აბორტებისა და ნაადრევი ქორწინების პრობლემებს. შეხვედრაზე შშს-მ განაცხადა, რომ 3 ივლისისთვის დაგეგმილ შეხვედრაზე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, რეკომენდაციების საფუძველზე გაწეული საქმიანობის შესახებ ისაუბრებს

პოლონური ორგანიზაცია „ქალთა დახმარების ცენტრი“ თბილისში ორი დღის მანძილზე იმყოფებოდა. ისინი შეხვდნენ და გაეცნენ ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მათ სტრატეგიას. ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრთან“ სამომავლოდ აქტიურ თანამშრომლობას გეგმავს.

# ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

## გენდერული თანასწორობის ტრენინგი თავდაცვის უწყებაში

# 1325



უსაფრთხოების სექტორში გენდერული თანასწორობისა და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოების პრინციპების ინტეგრირებასთან დაკავშირებით, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო და სამოქალაქო პერსონალმა სპეციალური ტრენინგი გაიარა.

თავდაცვის აკადემია გენდერული თანასწორობის საკითხებზე რამდენიმე წელია მუშაობს. 2013 წელს ქალთა საინფორმაციო ცენტრთან თანამშრომლობით, აკადემიის კადეტებისათვის, პირველი საპილოტე ტრენინგი ჩატარდა.

20-22 მაისს გამართული ტრენინგი პროექტის „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის საქართველოში“ ფარგლებში ჩატარდა.

ლონისძიება თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, თამარ ქაროსანიძემ, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ და გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა კობახიძემ და პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი სესიაშვილმა გახსნეს. ქაროსანიძემ თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ, გენდერული სტრატეგიის დოკუმენტზე ისაუბრა, რომლის განხორციელება და კონტროლიც მას ევალება. ირაკლი სესიაშვილმა ყურადღება, თავდაცვის სფეროში ქალი სამხედროების უფლებებზე გაამახვილა, ხოლო მანანა კობახიძემ ტრენინგის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე ისაუბრა და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთად, „ქალთა საინფორმაციო ცენტრს“, ხანგრძლივი თანამშრომლობისათვის, მადლობაც გადაუხადა.

ტრენინგის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელის მოადგილემ, ქრისტინა ბელისიტემ, გაეროს ქალ-

თა ორგანიზაციის წარმომადგენელმა საქართველოში, ერიკა კვიპალოვამ და ქალთა საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა, ელენე რუსეცკიმ. მათ ყურადღება გენდერსა და უსაფრთხოების სექტორს შორის არსებულ კავშირებზე გაამახვილეს.

სამდღიანი ტრენინგის ფარგლებში, რომელიც ნატოს სამეკავშირეო ოფისის, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა, ორგანიზატორებმა მონაწილეებს, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“, გაეროს უშიშროების საბჭოს #1325 რეზოლუცია და უსაფრთხოების სექტორში, გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირებასთან დაკავშირებული საკითხები გააცნეს.

ტრენინგის 22 მონაწილე თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურებში დაინიშნა მრჩეველად გენდერის საკითხებში. მათ გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად მზადყოფნა გამოთქვეს.

ტრენინგებს მოწვეული ექსპერტის გარდა ატარებდნენ „ქალთა საინფორმაციო ცენტრისა“ და თავდაცვის სამინისტროს ტრენერთა ერთობლივი ჯგუფი, რომლებმაც შედეგში, ორგანიზაცია KVINNA TILL KVINNA-ს მხარდაჭერით, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია #1325-ის ფარგლებში, გაიარეს სპეციალური მომზადების კურსები. ტრენინგების კურსს შედეგის განვითარების სააგენტო SIDA ახორციელებს.

2014 წელს, აკადემიის შიდა რეგულაციით, სასწავლო გეგმაში ცვლილებები შევიდა, რომლებიც საბაკალავრო და საკარიერო სკოლაში, გენდერული თანასწორობის საკითხებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს #1325 რეზოლუციის შესახებ სწავლებას ითვალისწინებს.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი



# მეგი ბიბილური - პრემიის "ახალგაზრდა ქალები - მშვიდობის მშენებლები კავკასიაში" ლაურეატი გახდა

კავკასიის ყოველწლიური პრემიის "ახალგაზრდა ქალები - მშვიდობის მშენებლები კავკასიაში" ლაურეატი ქართველი გახდა. მეგი ბიბილური, პრემიაზე „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ და კოალიციამ „ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისათვის“ წარადგინა.

ბიბილური, რომელიც შიდა ქართლში მოქმედი ორგანიზაციის, "მეგობრობის ხიდი - ქართლოსის" ხელმძღვანელი და „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ შიდა ქართლის წარმომადგენელია, არის პირველი ქართველი, რომელსაც აღნიშნული პრემია გადაეცა.

მეგი ბიბილური წლებია, ქართულ-ოსურ საზოგადოებებს შორის დიალოგის განვითარებაზე, ასევე ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე მუშაობს. მან დაჯილდოვებისას მშვიდობის მშენებლობაში ქალების განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ სამარ და კონფლიქტურ ვითარებებში, პირველ რიგში ქალები ზარალდებიან. ბიბილურმა იმ სოციალურ და უსაფრთხოების პრობლემებს გაუსვა ხაზი, რომელიც კონფლიქტის ზონაში მცხოვრებლებს უდგათ.

ამასთან, "მეგობრობის ხიდი - ქართლოსი" ორგანიზებას უწევს იმ ქართველებისა და ოსების შეხვედრას, რომლებიც კონფლიქტებამდე ერთად ცხოვრობდნენ. მეგი ბიბილური ბევრ სხვადასხვა პროექტშია ჩართული. "ქალთა საინფორმაციო ცენტრის" ეგიდით ის კოალიციის "ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის"



ფორმირების საკითხებზე მუშაობს. ბიბილური მიიჩნევს, რომ პოლიტიკაში ქალების მოსვლა, მშვიდობის მშენებლობაში განსაკუთრებულ როლს ითამაშებს.

დაჯილდოვების ცერემონიას, რომელიც ერევანში შედგა, "ქალთა საინფორმაციო ცენტრისა" წარმომადგენელი ნინო მოდებაძე და ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარეც ესწრებოდა. ფორუმი შვედური ორგანიზაცია „კვინა ტილ კვინას“ მიერაა ორგანიზებული.

პრემია ანაიტ ბაინდურის სახელს ატარებს. ის იყო სომეხი უფლებადამცველი, რომელსაც 1992 წელს, მიენიჭა ულოფ პალმეს სახელობის საერთაშორისო, პრესტიჟული პრემია მშვიდობის მშენებლობის დარგში. ამ დაჯილდოვებაში აღნიშნა მისი განსაკუთრებული წვლილი ყარაბაღის კონფლიქტის დროს ტყვეების გაცვლის შესახებ მოლაპარაკების პროცესში.

ანაიტ ბაინდურის სახელობის პრემია, კავკასიის რეგიონში, მშვიდობის მშენებლობის საკითხებზე მომუშავე ახალგაზრდა ქალებს გადაეცემა. პრემიის ლაურეტი ამ დრომდე, ცხრა ქალი გახდა.

## „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიმართვა აფხაზეთში სიტუაციის მშვიდობიანად განმუხტვის მოთხოვნით

ბოლო პერიოდში, აფხაზეთში განვითარებული პოლიტიკური კრიზისისა და დამაბულობის ფონზე, „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ სპეციალური მიმართვა გამოაქვეყნა, სადაც მხარეებს მშვიდობიანი დიალოგის გზით, დამაბულობის დაუყოვნებლივ განმუხტვისაკენ მოუწოდა.

„გვალეღვებს, რომ სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში, დაზარალდება მშვიდობიანი მოსახლეობა, განსაკუთრებით, ქალები და ბავშვები. გამოვხატავთ სოლიდარობას აფხაზეთში მცხოვრები ქალებისადმი და ვიმედოვნებთ, რომ მხარეები გამოჩენენ კეთილგონიერებას და არ დაუშვებენ კონფლიქტსა და ძალადობ-

ბას. მოვუწოდებთ საერთაშორისო საზოგადოებას, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინოს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ, რათა მოვლენები დამაბულობისა და გართულებების გარეშე განვითარდეს“, – აღნიშნულია განცხადებაში.

პროექტ „ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გამლიერებისათვის“ ერთ-ერთ კომპონენტი სამშვიდობო პროცესებში ქალების აქტიური ჩართვაა. ამ მიზნით, ნეიტრალურ ტერიტორიაზე გაიმართება ორმხრივი შეხვედრები კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ ქალებთან, რაც სახალხო დიპლომატიის განვითარებასა და ნდობის აღდგენას შეუწყობს ხელს.

# რეკომენდაციები NATO-ს გენდერული პოლიტიკის გასაბრუნებლად



ივნისში, ბრიუსელში, ნატოს ეგიდით შედგა სამოქალაქო საზოგადოების კონსულტაციები ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის პოლიტიკის იმპლიმენტაციის შესახებ, რომელიც ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების პოლიტიკას შეეხებოდა. ბრიუსელში გენდერის ექსპერტები სხვადასხვა ქვეყნიდან იყვნენ ჩამოსულები. ღონისძიება ნატოს გენდერული მრჩეველის, მარი სკარეს მიერ იყო მოწყობილი. მასში „ქალთა საინფორმაციო ცენტრიდან“, მამუკა გაჩეჩილაძე მონაწილეობდა.

სამუშაო შეხვედრის მიზანი, ნატო გენდერული პოლიტიკის სამოქმედო გეგმისათვის, რეკომენდაციათა პაკეტის შემუშავებას წარმოადგენდა. ერთდღიანი სა-

მუშაო შეხვედრისას გენდერის ექსპერტების მიერ მიღებულ დოკუმენტში, ძირითადი აქცენტები გაკეთდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ნატოს წევრთა რეგულარული შეხვედრებისა და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე მსჯელობა, ასევე პერიოდული კონსულტაციები CSO-სთან, სექსუალური და ფიზიკური ძალადობის აღმოფხვრის საკითხებზე მუშაობა, გენდერული აუდიტი და სხვა.

რეკომენდაციების დოკუმენტი უკვე გადაეგზავნა სამუშაო ჯგუფს და მისი განხილვა უახლოეს პერიოდში მოხდება.

## საინფორმაციო მიმართულება ტელე და რადიოგადაცემათა ციკლი „გენდერი და საზოგადოება“



„გენდერი და საზოგადოება“ გადაცემათა ციკლია, რომელსაც „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, სხვადასხვა პროექტში ახორციელებს. გადაცემა, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის, მათი პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერების, ადვოკატირების, მშვიდობისა თუ ცნობიერების ამაღლების საკითხებს ეხება, რადიოსა და ტელევიზიების საშუალებით მზადდება.

ამჟამად, ტელეგადაცემები გადაცემა გადის თელავის, გორის, ბორჯომის, ქუთაისის ტელევიზიების ეთერით. „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ გადაცემის მომზადებასთან დაკავშირებით, აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა საზოგადოებრივ მაუწყებელთან, თუმცა, საბოლოოდ, თანამშრომლობა ვერ შედგა. აღსანიშნავია, რომ USAID-ისა და ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტების ფარგლებში, გადაცემათა ციკლი, „გენდერი და საზოგადოება“ პირველად დაინერგა კახეთის რეგიონში. გადაცემა თელავის ტელეკომპანია „თანამგზავრის“ ბაზაზე მზადდება და გადაიცემა.

„გენდერი და საზოგადოება“ რადიო „შოკოლადის“, „ძველი ქალაქის“, „ჰერეთისა“ და „ათინათის“ ეთერში გადის. რადიოგადაცემათა ციკლი მზადდება პროექტის

„ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის“ ფარგლებში.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ აქტიურად თანამშრომლობს რადიო „თავისუფლებასთან“. რადიომ წამოიწყო პროექტი „გენდერული ამბები“, რომელშიც ორგანიზაციის წარმომადგენლები აქტიურად იღებენ მონაწილეობას. „WIC“-ს თანამშრომლობა ასევე ჟურნალ „ლიბერალთან“ აკავშირებს, სადაც სხვადასხვა გენდერულ, თემაზე (ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, ოჯახში ძალადობა, გენდერული მეინსტრიმინგი), ხშირად იწერება სტატიები.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრს“ ასევე მჭიდრო ურთიერთობა აქვს პორტალ GENDER.GE-სთან, რომლის გადაცემებშიც ორგანიზაციის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ.

ჯამში, ორგანიზაცია თანამშრომლობს 13 რეგიონულ და ცენტრალურ მაუწყებელთან, 5 რადიოსთან, საინფორმაციო სააგენტოებსა და მედიაპორტალებთან.

მედიაორგანიზაციებთან თანამშრომლობა ასევე ხორციელდება OXFAM-ისა და UN WOMEN-ის მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებშიც.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი

# სამხრეთ კავკასიის საინფორმაციო გენდერული ქსელი - GINSC.NET



## Kvinna till Kvinna

სამხრეთ კავკასიის საინფორმაციო გენდერული ქსელი, 2002 წლიდან მოქმედებს. საიტი სამეზობლიო (ქართული, რუსული, ინგლისური) და სამხრეთ კავკასიაში გენდერულ თემატიკაზე ორიენტირებულ ერთადერთ პორტალს წარმოადგენს. ის ყოველდღიურად ახლდება. აქვე მოქმედებს რუბრიკა “ბიბლიოთეკა” სადაც იდება საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, რომლებიც გენდერულ თანასწორობასა და ქალთა უფლებებს ეხება.

გვერდს, თვეში, საშუალოდ, 12 ათასი მომხმარებელი ჰყავს. აქ ქვეყნდება ინფორმაცია გენდერულ საკითხებსა და ქალთა უფლებებზე.

პორტალი დაკავშირებულია “ქალთა საინფორმაციო ცენტრის” ფეისბუქის გვერდთან. ამ დროისათვის მას 3 ათასამდე მომხმარებელი ჰყავს, სტატიებზე მკითხველამდე მიღწევის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

პორტალზე განთავსებულია განყოფილება „ექსკლუზივი“, სადაც უშუალოდ ორგანიზაციის მიერ მომზადებული სიუჟეტები და მასალები იდება. თემები, ძირითადად, შეეხება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას, მოწყვლად ქალთა ჯგუფების პრობლემებს (მარტოხელა დედებს, სოციალურად დაუცველ ქალებს, ახალგაზრდებს, დევნილებს და სხვა), ოჯახში ძალადობას, გენდერული თანასწო-

რობის იმპლიმენტაციას, ქალთა შრომით უფლებებს, უმცირესობათა უფლებების დაცვას, ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას, ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობოთა საქმიანობის წამოწევას, დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკას, „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ აქტივობას, სხვადასხვა პროექტების ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების გაშუქებას და სხვა.

ვიდეო და ტექსტუალური მასალები მოიცავს ყველა დონეს: აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას, სამოქალაქო სექტორს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ბენეფიციარებს.

პორტალზე, ყოველთვიურად 9-10 ექსკლუზიური მასალა ქვეყნდება. საიტის შიდა მთვლელისა და სოციალური ქსელების რეიტინგების თანახმად, თითოეულ მასალას, 3000-მდე ნახვამდე აქვს. GINSC.NET-ის მხარდაჭერას შედეგური ორგანიზაცია “KVINNA TILL KVINNA”, “UN WOMEN”, USAID და “OXFAM” ახორციელებს.

## ადვოკატირება შეხვედრები “ერთი ფანჯრის პრინციპით”

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ მხარდაჭერილი პროექტის “ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის” ფარგლებში, შიდა ქართლში რამდენიმე აქტივობა მოეწყო. მათ შორის ჩატარდა ტრენინგები, რომლებიც მიზნად ერთი ფანჯრის პრინციპის შეხვედრების მეთოდოლოგიით, შემთხვევების მომწოდებლებთან ამ შემთხვევების დოკუმენტაციის შესწავლას და შედეგების მონიტორინგს ეხებოდა. ტრენინგებს პროექტის გუნდთან ერთად, შიდა ქართლში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

მსგავს ფორმატში ორგანიზაციამ საკონსულტაციო შეხვედრებიც გამართა, რომელიც დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის პრობლემების განხილვასა და ადგილზე გადაწყვეტას ისახავდა მიზნად. ამ შეხვედრებს ადგილობრივი ხელისუფლების, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სხვა შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი ერთი ფანჯრის პრინციპს 2010 წლიდან იყენებს. ის ორგანიზაციას დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული პირების პრობლემების მოგვარებაში ეხმარება.

2014 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში, გორსა და კონფლიქტისპირა სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობაში გამოიკვეთა ისეთი პრობლემები, როგორებიცაა

უბინაობა, მარტოხელა დედებისთვის სოციალური დახმარების მოხსნის საკითხი, სასწრაფო ოპერაციების საჭიროება და შესაბამისი უწყებებთან მიმართვიანობის პრობლემა. ამასთან, საზღვრისპირა სოფლებს (ფლავი, არბო, ქორდა), შეზღუდულად მიეწოდება წყალი, აქვთ გამრიცხველიანების პრობლემა, ეს ყველაფერი კი დამატებით სირთულეებს უქმნით.

სოფელ ქორდში გამოიკვეთა საბავშვო ბაღის საჭიროება. ცენტრი, სადაც ბავშვები იმყოფებიან არ ატარებს შესაბამის სტატუსს და საჭიროებს სასწრაფო რეაბილიტაციას. მისი რეკონსტრუქციისა და სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, სოფელ არბოს მოსახლეობაც ისარგებლებს.

ყველა ზემოთჩამოთვლილ შემთხვევაზე, „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, აქტიურად მუშაობს და ადვოკატირების პროცესი „ერთი ფანჯრის“ პრინციპით ხორციელდება.

ორგანიზაციას, მიმდინარე წელს გადაჭრილი პრობლემის შესახებაც აქვს მონაცემი. სამეგრელოში, სოფელ კოკში მცხოვრებ მარინა ბუკიას ჰყავს შრომისუნარო მუდღე და სამი მცირეწლოვანი ბავშვი, ცხოვრობდა ავარიულ სახლში, რომლის სახურავიც დაზიანებული იყო, წყალი ჩამოდიოდა და ბავშვები ხშირად ცივდებოდნენ. ადვოკატირების შედეგად, DCR-მ ოჯახს დაუფინანსა კოტეჯის მშენებლობა, რის შედეგადაც, ოჯახს თავშესაფრის პრობლემა მოეხსნება.



## ბიბლიოთეკა ქვემო ხალაწანში

პანკისის ხეობის სოფელ ქვემო ხალაწანში, ქალთა საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებითა და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით, ბიბლიოთეკა გაიხსნა. ღონისძიება პროექტ „გენდერულად სენსიტიური ინფორმაცია გენდერული თანასწორობისათვის საქართველოში“ ფარგლებში ჩატარდა.

ბიბლიოთეკის გახსნის იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“, პანკისის ხეობაში მცხოვრებ ქალებთან გამართული ერთ-ერთი საკონსულტაციო შეხვედრისას, ბიბლიოთეკის არსებობის საჭიროება გამოკვეთა. პანკისელმა ქალებმა აღნიშნეს, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობისათვის, ადგილობრივებს მეზობელ სოფლებში წასვლა ხშირად უხდებოდათ, განათლების, ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირებულობისათვის კი სოფელში მისი არსებობა აუცილებელი იყო.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ შუამდგომლობით,

სოფელ ქვემო ხალაწანის გამგეობის შენობაში, გამოიყო, გარემონტდა და აღიჭურვა შესაბამისი ფართი. ორგანიზაცია ეროვნულ ბიბლიოთეკასაც დაუკავშირდა, რომელმაც სოფელს საჩუქრად ხუთასამდე წიგნი გადასცა.

ბიბლიოთეკის გახსნის პროცესს, ადგილობრივი ხელისუფლებიდან ესწრებოდნენ. მათ შორის იყო რწმუნებული და ადგილობრივი თვითმმართველობის მრჩეველი გენდერის საკითხებში. როგორც რწმუნებულმა განაცხადა, უახლოეს მომავალში, სოფლის თვითმმართველობა, ბიბლიოთეკის კომპიუტერიზაციასა და ინტერნეტიზაციასაც დაიწყებს მუშაობს, რის შედეგადაც ხალაწანის მცხოვრებლებს, ინფორმაციის მიღების საშუალება ვებ-გვერდების დახმარებითაც შეეძლებათ.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი, ბიბლიოთეკის ბაზის გასამდიდრებლად, სხვადასხვა გამომცემლობებთანაც აპირებს მუშაობის დაწყებას.

## ამბულატორია სოფელ ხალაწანში

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ, პანკისის ხეობაში ჩატარებული იურიდიული კონსულტაციებისას, ბიბლიოთეკის გარდა, ადგილობრივი ქალების მიერ, ერთ-ერთ მთავარ პრობლემურ საკითხად, სოფელ ხალაწანში ამბულატორიის არარსებობა დასახელდა. „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ასევე, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ახმეტის მუნიციპალიტეტის, ფაქტისა და მოთხოვნის შესახებ, წერილობით მიმართა. სამინისტროების განცხადებით, ამბულატორია ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობიანოში შენდება, ადგილი ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ იქნა შერჩეული და რამდენიმე სოფელს მოემსახურება.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ გაწეული ადვოკატირების შედეგად, ხალაწანისათვის გამოიყო ერთი ექიმი. ამჟამად, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან, ექიმისათვის გამოყოფილი სივრცის გარემონტების საკითხი აქტიურად განიხილება. მოლაპარაკებები მიმდინარეობს გამგეობის მოვალეობის შემსრულებელ, კახაბერ დოლიძესთან.

აქტუვობა ევროკავშირისა და KVINNA TILL KVINNAS მხარდაჭერილი პროექტების, „თემთა მობილიზება საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გზით, ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის“ და „გენდერულად სენსიტიური ინფორმაცია გენდერული თანასწორობისათვის საქართველოში“ ფარგლებში შედგა.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი



# პირადი დოკუმენტაციის პრობლემა პანკისში

პანკისის ხეობაში საკმაოდ პრობლემურია პირადი დოკუმენტაციის მოწესრიგება და მოქალაქეობის საკითხი, რაც იქ მცხოვრები ბავშვებისთვისაც სირთულეს წარმოადგენს. რამდენიმე მათგანს, საატესტატო გამოცდების ჩაბარებასთან დაკავშირებით, პრობლემა ექმნებოდა.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ იურისტი ადგილობრივი სკოლის დირექტორსა და განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროს დაუკავშირდა და არსებული ვითარების შესახებ, ინფორმაცია მიაწოდა. შედეგად, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებმა, უპრობლემოდ შეძლეს საატესტატო გამოცდებში მონაწილეობა და შესაბამისი ქულების მიღება. აღსანიშნავია, რომ პირად დოკუმენტებთან დაკავშირებული პრობლემის შესახებ, ინფორმაცია საქართველოს სახალხო დამცველსაც მიეწოდა.

## ახალი პროექტები

### „ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის“

„ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, USAID-ის მხარდაჭერით, ფონდ „ტასოსთან“, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციასთან, გალში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციასა და „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტთან“ ერთად, ახორციელებს პროექტს „ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის“. პროექტი მიზნად ისახავს სამიზნე რეგიონებში ახალგაზრდა გოგონათა და ქალთა პოლიტიკური ეკონომიკური, სამშვიდობო და კონფლიქტის პრევენციის პროცესებში სრული მონაწილეობის მხადაჭერას, ასევე თემთა მობილიზების გზით ქალთა სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებასა და ადგილობრივი საჭიროებების კვლევას.

პროექტის პრეზენტაცია 2014 წლის 29 აპრილს, სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ გაიმართა. პრეზენტაციას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, ბიზნესის, აკადემიური წრეების, ცესკოს, სახალხო დამცველის ოფისისა და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს ქალთა პასიური მიმდებნიდან აქტიურ აგენტებად ჩამოყალიბებას.

ლონისძიებებს USAID-ის მისიის ხელმძღვანელი საქართველოში, სტეფან ჰეიკენიცი ესწრებოდა. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მისია, საქართველოს მდგრადი დემოკრატიული განვითარებისათვის, მხარს უჭერს გენდერულ თანასწორობასა და ქალთა გაძლიერებას. ასევე, კვოტირების სისტემის შემოღებას ადგილობრივი და სამთავრობო დონეზე.

პროექტის პარტნიორმა ორგანიზაციებმა, დამსწრეებს ძირითადი მიზნები, დაგეგმილი აქტივობები და ღონისძიებები გააცნეს. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, გუგული



მალრამე, რომელმაც იმ გამოწვევებსა და სირთულეებზე ისაუბრა, რომლებიც პოლიტიკაში ჩართულ ქალებს აქვთ. პრეზენტაციაზე სახალხო დამცველიც იმყოფებოდა. უჩა ნანუაშვილმა ომბუდსმენის ანგარიშის იმ ნაწილზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც გენდერულ საკითხებს ეხება.

პრეზენტაციაზე ქალთა პოლიტიკაში ჩართულობასა და მათ როლზე, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, მიხეილ სარჯველაძემაც ისაუბრა. შეხვედრის შემდეგ, უწყებამ საჯარო სივრცეში კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ქალთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აქტივობას უწყობს ხელს. მსგავს თემებზე გაამახვილეს ყურადღება ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენელმა, მარინე ფოჩხუამ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრის მოადგილემ, ქეთი ციხელაშვილმა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ყვანიაძემ. მათ ასევე ისაუბრეს იმ აქტივობებზე, რომლებსაც სახელისუფლებო უწყებები, გენდერული მინისტრიმიზის კუთხით ახორციელებენ.

# „გენდერული სამართლიანობის ხელშეწყობა ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერების გზით“

## „გენდერული ინსტიტუციური მექანიზმი და ქალთა კოალიცია“

„ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ ბრიტანულ საქველმოქმედო ორგანიზაცია „ოქსფამთან“ ერთად, დაიწყო პროექტის, „გენდერული სამართლიანობის ხელშეწყობა ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერების გზით“ მეორე ეტაპის განხორციელება.

პროექტის მიზანია, გენდერული თანასწორობის კუთხით, მხარი დაუჭიროს ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერებას ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. ასევე ხელი შეუწყოს კოალიციის „ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის“ განვითარებასა და გაძლიერებას.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ადგილობრივი

თვითმმართველობის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობისა და ინსტიტუციური მექანიზმის მიმართულებით. ასევე მუნიციპალიტეტებს შორის კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა და მხარდაჭერა.

ამას გარდა, პროექტი, საქართველოს მასშტაბით, ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობის კვლევას ითვალისწინებს. მიღებული შედეგების ანალიზი კი საქართველოს საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

პროექტი ერთწლიანია და სტარტი 2014 წლის ივნისიდან აიღო.

## გაეროს ქალთა სტატუსის 58-ე სესია – შეჯამება და შედეგები

ელენე რუსეცკაია

ფოტო#2 ნიუ-იორკი, 2014 წელი, 10–21 მარტი. ქალთა საკითხებით დაინტერესებული მსოფლიო საზოგადოება ყურადღებით აკვირდება მოვლენებს და იმ საბოლოო დასკვნებს ელოდება, რომელსაც ქალთა სტატუსის 58-ე სესია გამოაქვეყნებს. სწორედ ეს დასკვნები განსაზღვრავს ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ახალ კურსს.

სესიის მთავარ თემას, ათასწლეულის განვითარების მიზნები, გამოწვევები და 2015 წლის პოსტ-დღის წესრიგის მომზადება წარმოადგენს. გაეროს წევრი სახელმწიფოები, ორგანიზაციის სააგენტოები და „ეკოსოკის“ სტატუსის მქონე, აკრედიტირებული არასამთავრობო ორგანიზაციები, პროგრესსა და მსოფლიო მასშტაბით არსებულ გამოწვევებზე მსჯელობენ.

2015 წელს, პეკინში გამართულ ქალთა მსოფლიო კონფერენციიდან ოცი წელი შესრულდება, სადაც, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო გეგმა შემუშავდა. დოკუმენტი, მოგვიანებით, ქალთა მიმართ დისკრიმინაციისყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციასთან ერთად, ქალთა შესაძლებლობის გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ერთგვარი სახელმძღვანელო გახდა. შეიძლება ვთქვათ, რომ 10–21 მარტის კონფერენცია, ერთგვარი შე-



მაჯამებელი, წინამოსამზადებელი ღონისძიებაა, სადაც მონაწილეებმა არსებული გამოწვევები და ის საქმეები განიხილეს, რომელიც ქალთა მსოფლიო კონფერენციამდე გასაკეთებელი. 2015 წელი უმნიშვნელოვანესი წელია – სახელმწიფოებს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, #1325-ის შესრულების ანგარიშის წარდგენა მოუწევთ.

ათასწლეულის განვითარების გეგმის მისაღწევად, რვა მიზანია დასახული. სესიაზე, გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა, მიზნების შესრულების პროცესი და არსებული შედეგები განიხილეს. აქცენტი იმ გამოწვევებსა და მიღწევებზე გაკეთდა, რომელიც გოგონებსა და ქალებთან მიმართებით დგას. სესიის მოაწილეებს ჰქონდათ უნიკალური შესაძლებლობა, დასწრებოდნენ შეხვედრებს, გაეზიარებინათ უცხოელი კოლეგების გამოცდილება, წარედგინათ საკუთარი ქვეყნის მიღწევები

ქალთა საინფორმაციო ცენტრი

და არსებული ვითარება, დაესახათ ახალი პერსპექტივები.

აზრთა სხვადასხვაობა, ქვეყნების ტრადიციულ-კულტურული თავისებურებები და პრობლემათა განსხვავებული კუთხეები, კონფერენციაში მონაწილეობას უფრო საინტერესოს ხდიდა. მიუხედავად იმისა, რომ მასშტაბებიდან გამომდინარე, ყველა ღონისძიებაზე დასწრება შეუძლებელი იყო, თანამედროვე ტექნოლოგიებმა მოგვცა საშუალება, მოვლენებს არ ჩამოვრჩენოდით, მუდმივად ვყოფილიყავით საქმის კურსში, თუ რა ხდებოდა ამა თუ იმ გვერდით ღონისძიებაზე, მოგვესმინა ოფიციალური მოხსენებები და საკუთარი მოსაზრებები თუ რეკომენდაციები გაგვეზიარებინა სხვებისათვის.

კონფერენციის მსვლელობისას ყველა ეროვნების ქალისათვის პრიორიტეტული და საჭირობო როტო ძირითადი საკითხები გამოიკვეთა. აქვე აღინიშნა, რომ ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მრავალმხრივი მიდგომა და გენდერული მეინსტრიმინგი აუცილებელია. მათზე ყურადღების გამახვილება, პოსტ აჯენდაში აუცილებელია.

დღეს ქალები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასე საგრძნობი პროგრესის მიუხედავად, პოზიტიურ ცვლილებებს მილიონობით ქალი საჭიროებს. ათასწლეულის განვითარების მიზნებში არ არის ასახული გენდერული განზომილების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა ქალთა აუნაზღაურებელი შრომა, ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა, სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები, ქალთა ხელმისაწვდომობა აქტივებზე, გენდერული ხარვეზი შრომის ანაზღაურებასა თუ ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე. ასევე დისკრიმინაციული სოციალური ნორმები და პრაქტიკა. კონფერენციაზე არაერთგზის აღინიშნა, რომ ქალთადა გოგონათა უფლებების დაცვის სრული უზრუნველყოფისა და უკეთესი შედეგის მისაღწევად, საკითხების განხილვისას ეკონომიკური კრიზისი, არსებული კონფლიქტები თუ გარემოებები უნდა იყოს გათვალისწინებული.

მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ მდგრადი განვითარებისათვის მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის ძალისხმევა არ არის საკმარისი. აუცილებელია, სახელმწიფოებმა პოლიტიკური ნება გამოიჩინონ და გენდერული თანასწორობის საკითხებში, მეტი ინვესტიცია ჩადონ. საჭიროა, ყველა ხელისუფლებამ გააცნობიეროს, რომ გენდერული თანასწორობა მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელი მახასიათებელია.

სხვადასხვა სესიის ფარგლებში, კონფერენციის მონაწილეები, თითქმის, ყველა მნიშვნელოვან თემას შეეხნენ. ქალთა მიმართ ძალადობა, სხვადასხვა რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ქალთა მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე.. ეს არასრულ

ლი ჩამონათვალია იმ საკითხებისა, რომელთა გარშემოც დებატები იმართებოდა.

გაეროს ქალთა სტატუსის 58-ე სესიაზე, აღმოსავლეთ-დასავლეთ ქალთა ქსელი, წელს საქართველოდან მისმა წევრმა ორგანიზაციამ, „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ წარმოადგინა, რომლის წევრებიც აქტიურად მონაწილეობდნენ სესიებსა და გვერდით ღონისძიებებზე. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე, რომელიც „ქალთა გლობალური ფონდის“ მიერ იყო ორგანიზებული, დამსწრეებმა „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მოხსენებაც მოისმინეს. ღონისძიებაზე მოხსენებები სამხრეთ კავკასიის, ჩრდილოეთ კავკასიის/რუსეთის და შუა აზიის წარმომადგენლებმაც გააკეთეს. შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებმა ქვეყნების გამოწვევებზე, არასამთავრობო სექტორის ქმედებებსა და დასახულ გეგმებზე ისაუბრეს. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციებს, განსხვავებული კულტურებიდან გამომდინარე, განსხვავებული პრობლემები და მუშაობის განსხვავებული გამოცდილება აქვთ, ისეთი საერთო პრობლემებიც გამოიკვეთა, როგორებიცაა ქალთა მიმართ ძალადობა, რელიგიური და ნაციონალური ექსტრემიზმი, არატოლერანტული დამოკიდებულება ქალთა მოძრაობისა და ფემინიზმის ღირებულებებისადმი, არსებული კონფლიქტების ნეგატიური ასახვა ქალთა მდგომარეობაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაბალი მონაწილეობა და სხვა. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია პარტნიორული ქსელების განვითარება, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, პროცესებში ახალგაზრდების ჩართვა და ადამიანური თუ ფინანსური რესურსების მობილიზება. შეხვედრაზე დასმულ კითხვებთან ერთად, ახალი წინადადებებებიც გაჟღერდა. მათ შორის, ახალი სახელმძღვანელოს შექმნის იდეაც, რომელშიც ყველა პოზიტიური გამოცდილება იქნება ასახული და რომელსაც კოლეგები სხვა ქვეყნებიდან, პრაქტიკაში გამოიყენებენ.

არ შემიძლია, აღნიშვნის გარეშე დავტოვო ერთი ფაქტი: მაშინ, როდესაც ჩემს მოხსენებაში საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებზე ვსაუბრობდი, ერთ-ერთ საკითხად ქალთა მიმართ ძალადობა ვახსენე. მაგალითად მოვიყვანე შემთხვევა, რომელიც ჩემს ნიუ-იორკში წამოსვლამდე მოხდა – 58 წლის მამაკაცმა, 12 წლის არასრულწლოვანი გოგონა, ქორწინების მიზნით მოიტაცა. ფაქტი აღმაშფოთებელი იყო ქართული საზოგადოებისათვის, თუმცა სიტყვით გამოსვლისას, ალბათ, ვერც წარმოვიდგენდი, რომ უკან დაბრუნებულს გაუარესებული სტატისტიკა და ახალი ტრაგედიები დამხვდებოდა. აშშ-ში სულ ათი დღე გავატარე, ამ დროის მანძილზე საქართველოში შვიდი ისეთი გახმაურებული შემთხვევა დაფიქსირდა, როგორებიცაა არასრულწლოვანების მოტაცება ქორწინების მიზნით, მათი გაუპატიურება, წამება და მკვლელობა.. ალბათ, დამეთანხმებით, რომ არსებული ვითარება სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს ხელისუფლების, არასამთავრობო სექტორი-

სა და საზოგადოების მხრიდან.

მომდევნო წელი საქართველოსათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. 2015 წელს უნდა მომზადდეს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის, 2012–2015 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიში. მნიშვნელოვანია 2014 წელი, თვითმმართველობის არჩევნები და სურათი, რომელსაც ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით მივიღებთ. ეს იქნება ჩვენი ქვეყნის დემოკრატიისაკენ სწრაფვისა და ქვეყნის განვითარების მაჩვენებელი.

ქალთა სტატუსის 58-ე კომისიამ კიდევ ერთხელ აჩვენა, თუ როგორი მრავალფეროვანია ქალთა პრობლემათა სპექტრი, რადენ დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის შიგნით, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე კონსოლიდაციას და წარმოდგენს ქალთა გლობალური მოძრაობის განვითარებას.


ქალთა საინფორმაციო ცენტრმა, საბოლოოდ დასკვნების განხილვის დროს, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ რეკომენდაციების შემუშავებაშიც მიიღო მონაწილეობა.

აღნიშვნას იმსახურებს ფაქტი, თუ როგორ იყო წარმოჩენილი საქართველო სესიაზე. ოფიციალური სესია გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის 58-ე სესიის ბიუ-

როს ვიცე-თავმჯდომარემ, გაეროში საქართველოს მისიის ყოფილმა და ახლა უკვე საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, ნელი შიოლაშვილმა გახსნა, სადაც სესიის თავმჯდომარე ოფიციალურად აირჩიეს. გაეროში საქართველოს მისიის ხელმძღვანელმა გახსნა გვერდითი ღონისძიება, რომელიც რეპროდუქციულ ჯანმრთელობას ეხებოდა. სიტყვით გამოვიდა დეპუტატი თინათინ ხიდაშელი, რომელმაც საქართველოში, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების პრობლემებსა და მდგომარეობაზე ისაუბრა.

მინდა, მადლობა გადავუხადო აღმოსავლეთ-დასავლეთის ქსელს პარტნიორობისათვის. ამ ქსელში გაწვევრიანების გარეშე, „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ სესიაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა (ორგანიზაციას ჯერ არ აქვს ეკოსოკის სტატუსი), განსაკუთრებული მადლობა „ქალთა გლობალურ ფონდს“, რომელმაც არამხოლოდ ღონისძიებაზე დასწრების, არამედ, ჩვენი ქვეყნის წარმოჩენის საშუალებაც მოგვცა. ასევე დიდი მადლობა ფონდ „კვინა ტილ კვინას“, რომელიც ჩვენი მრავალწლიანი პარტნიორია და, ამჯერად, სწორედ მან უზრუნველყო ჩვენი ერთ-ერთი წარმომადგენლის მონაწილეობა სესიაზე.

It`s not only about women,  
it`s about information!



40, Tsinamdzhvishvili Str Tbilisi, 0102 Georgia

Phone: +995 32 295 29 34

Fax: +995 32 294 26 99

office@ginsc.net

wicge.org

ginsc.net

fb.com/WICgeorgia